პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 იანვარი ოთხშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 9 (15222)

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

კულტურის ძეგლთა დაცვას შეუნელებელი ყურადღება!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამ დღეებში განიხილა საკითხი „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კულტურის ძეგლთა მდგომარეობისა და მათი დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

ბიურომ აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში წარმოებს დიდი მუშაობა მატერიალური კულტურის ძეგლების, როგორც ხალხის სულიერი სიმდიდრისა და შემოქმედებითი შრომის მკაფიო გამოვლინების დაცვისათვის. ამ ბოლო წლების მანძილზე განხორციელდა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების (სვეტიცხოველის, ალავერდის, ატენის, ბოლნისის, ვარძიის, ბედიისა და სხვათა) რესტავრაციისა და შეკეთებისათვის. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები დღენიადაგ ზრუნავენ სიძველის ძეგლთა დაცვისათვის. ამ კეთილშობილურ საქმეში აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის მოსახლეობა.

მაგრამ კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში არის ნაკლოვანებანი, რომელთა დაუყოვნებლივ სწრაფი აღმოფხვრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია პარტიული და საბჭოთა ორგანოების, მთელი საზოგადოებრიობის დიდმნიშვნელოვან ამოცანად. დადგინდა ფაქტები, როცა ისტორიულ ძეგლებს არა თუ გულგრილად და უპასუხისგებლად ეკიდებიან, არამედ განზრახ აზიანებენ და სპობენ კიდეც. 1969-1970 წლებში დმანისის რაიონის ტერიტორიაზე მოსპეს XI საუკუნის ძეგლი — მოჩუქურთმებული ქვის ჯვარი, რომელზეც ძველი ქართული წარწერა იყო, დაზიანეს XII საუკუნის ეკლესია, გაანადგურეს შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები, ააფთქეს ძველი სამრეკლო. რაიონის თანამდებობის პირებმა, რომლებსაც არათუ არ აღუკვეთიათ ამგვარი მოქმედება, არამედ ფაქტების გამოძიების დროს არასწორი პოზიცია დაიკავეს და გაუალბეს მონაცემები. ეს პირნი განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან და მკაცრად დაისჯნენ პარტიული ხაზით, მაგრამ დღემდე დადგენილი არ არიან პირები, რომლებმაც ბოროტმოქმედება ჩაიდინეს.

იმის გამო, რომ ჯერჯვან ყურადღებას არ უთმობდნენ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები, უარესდება შუა საუკუნეების ძვირფასი არქიტექტურული კომპლექსის „ნადარბაზევის" მდგომარეობა, მოუვლელია ისტორიული ძეგლი „სამშვილდე" (ორივე თეთრი წყაროს რაიონში); უკეთეს მოვლას საჭიროებს ანტიკური ეპოქის ძეგლი, „ნაქალაქევი" (ცხაკაიას რაიონი); მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ტერიტორიაზე სამუშაოთა წარმოების პროცესში დაინგრა ადრეფეოდალური ხანის საცხოვრებლები, ეკლესია, სამარხები, საშიშროება შეექმნა XIII საუკუნის მონასტრის კომპლექსს „კაზრეთს".

ჯერ კიდევ 1970 წლის ნოემბერში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება 1971 წლის 1 ივნისიდან შეეწყვიტათ მოწამეთის კარიერს ექსპლოატაცია, რადგან აქ წარმოებული აფეთქებები კედლების დეფორმაციის, მოზაიკისა და კედლის მოხატულობას დაზიანებენ ხანგრძლივ XII საუკუნის შესანიშნავ ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლს ბელათის მონასტერს. საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ შვიდი თვით დაადგინა ამ გადაწყვეტილების შესრულება — მოწამეთის კარიერზე სამუშაოები შეწყდა 1972 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ზოგიერთი სამინისტრო, უწყება, საპროექტო, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციები ყოველთვის არ ასრულებენ, ზოგჯერ კი უხეშადაც არღვევენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებას „კულტურის ძეგლთა დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ორგანოები ჯერჯერობით იშვიათად აქვეყნებენ და გადასცემენ მასალებს ისტორიულ ძეგლთა, როგორც რესპუბლიკის, ისე მთელი ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის დაცვის მნიშვნელობის შესახებ. სუსტად ავლენენ და აკრიტიკებენ იმათ, ვინც ზიანს აყენებს კულტურის ძეგლებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას, პარტიის დმანისის, თეთრი წყაროს, ცხაკაიას რაიონულ კომიტეტებსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებს, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ხელმძღვანელობას დაავალა განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში აღნიშნულ ნაკლოვანებათა უთუოდ აღმოფხვრისათვის და უზრუნველყონ, რომ კვლავ არ განმეორდეს ამგვარი ფაქტები. ამასთან ბიურომ საქართველოს სსრ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა დაადგინონ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიხცენ დმანისის რაიონის ისტორიულ ძეგლთა დაზიანებისა და მოსპობაში უშუალოდ დამნაშავე პირები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ რესპუბლიკის ყველა სამინისტროს, უწყებას, საპროექტო, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებს მოსთხოვა მკაცრად შეასრულონ სადაზვერვო, მიწისა და სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არსებული ან აღმოჩენილი კულტურის ძეგლთა დაცვის ის წესი, რომელიც მოცემულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას დაავალა მეტი ყურადღება დაუთმონ ისტორიული, არქიტექტურული და მატერიალური კულტურის სხვა ძეგლთა დაცვას, უფრო ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში შეხებამეხი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, კულტურის ძეგლთა დაცვაში უფრო აქტიურად ჩაბაბან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივი, ახალგაზრდობა, გადაჭრით აღკვეთონ ძეგლთა დაზიანებისა და დანგრევის ფაქტები, დამნაშავენი მისცენ პასუხისგებაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

რუსუბლიკის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ უფრო ფართოდ გააშუქონ კულტურის ძეგლთა პოპულარიზაციასთან და დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა გამოუშვას ფერადი სამეცნიერო პოპულარული ფილმი „საქართველოს კულტურის ძეგლები", ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა — უზრუნველყოს რესპუბლიკის ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების შესახებ საცნობარო და დასურათხატული ლიტერატურის ყოველწლიური გამოცემა.

(საქდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. დ. ა. კუნაევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრს, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. დინმუხამედ აჰმედის-ძე კუნაევს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და უროს".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1972 წ. 11 იანვარი.

ამხანაგ დინმუხამედ აჰმედის-ძე კუნაევს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, დაბადების სამოცი წლისთავს.

გისურვებთ, დინმუხამედ აჰმედის-ძევ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

შეხვედრები, ვიზიტები

10 იანვარს მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში „სსრ კავშირის რესპუბლიკების ხალხური შემოქმედების" გამოფენის გახსნაზე გაფრინდა სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა. გამოფენა ეკსპონირებული იქნება ვაშინგტონსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მეცნიერების, ტექნიკის, განათლების, კულტურისა და სხვა დარგებში გაცვლის შეთანხმების შესაბამისად.

გამცილებელთა შორის იყო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჯეკობ დ. ბიმი. (საკდესი).

10 იანვარს მოსკოვიდან ბრიუსელში გაფრინდა საბჭოთა საზოგადოებრიობის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის ქვეყნების საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრაში უმიშროების საკითხებზე. დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე, ევრობის უშიშროებისათვის მებრძოლი საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ა. პ. შიტიკოვი. (საკდესი).

კოსმონავტიკის მუზეუმში

კალუგა. (საკდესის კორ.). პირველი ეკსკურსანტები მიიღო გამოფენამ, რომელიც კ. ე. ციოლკოვსკის სახელობის კოსმონავტიკის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა. გამოფენა ეძღვნება მარსის შესწავლას.

ციტრუსებზი გეგმის გადამეტებით

ციტრუსმბის კარგი მოსავალი მიიღეს ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის წევრებმა. მათ შემფუთავ პუნქტში უხვად მიიტანეს მანდარინი და გეგმა ყველაზე ადრე შეასრულეს. წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს აგრეთვე კოლმეურნეობის სხვა ბრიგადებმაც. საერთოდ ჩაისუბნელებმა შარშან ციტრუსოვანთა კრეფის გეგმას ორმოცი ტონით გადააჭარბეს.

სურათზე: მოწინავე მეციტრუსე — ზოფელ ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნათელა შავაძე.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სუთნლელი — ვადამდე!

მათ თავი ისაზეიმეს

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის

ახალი მიჯნებისაკენ

აჭარის სოფლის მუშაკთა სოციალისტური ვალდებულებანი

აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი

ბრძენ შრომითი წარმატებებით დაამთავრეს მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მათ დაამზადეს 40,5 ათას ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ გეგმაზე 3,3 ათასი ტონით და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებაზე 1,3 ათასი ტონით მეტი. ჩაის პლანტაციების თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 5.725 კილოგრამი ფოთოლი. კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ მეურნეობებსა და საწარმოო ქვედანაყოფებს.

მეუხერხულად გასული წლის არასელსაყრელი კლიმატური პირობებისა, თავი გამოიჩინეს მეციტრუსეებმაც. მათ დაამზადეს დაახლოებით 33 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები მეთაბაქოეებმა, მეცხოველეებმა, მემინდვრეებმა.

ხუთწლედში კარგი სტარტია აღებული. მაგრამ მიღწეული მაჩვენებლები ზღვარი როდია, — გადაწყვეტეს აჭარის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეებმა, რომლებმაც 10 იანვარს მოიყარეს თავი ბათუმში.

თათბირი გახსნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. ფაფიაშვილმა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ოხილაძეშვილმა.

მან ილაპარაკა ახალი ხუთწლედის პირველ წელს აჭარის სოფლის მშრომელთა მიერ მოპოვებულ წარმატებებზე, იმაზე, თუ როგორ დაიწყეს მათ, სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის ისტორიული გადაწყვეტილებები აფერხთანგანმეტებმა, მიმდინარე წლის გეგმების რეალიზაცია. მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვიეს ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებში პარტიის მიერ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის დასახულმა გრანდიოზულმა გეგმებმა.

მოხსენებაში გაანალიზებული იყო საუკეთესო მეურნეობებისა და მოწინავეების გამოცდილება, რომლებმაც წარმოების უმაღლეს ეფექტიანობას მიაღწიეს და დიდი წვლილი შეიტანეს გასული წლის წარმატებებში. აღინიშნა, რომ ამ გამოცდილების ფართოდ გავრცელება აჭარის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ერთ-ერთი ქმედითი გზაა. ამჟ. თხილიანეთი შეეხო სხვა არსებერ რეზერვებსაც, რომელთა გამოყენებაც ხელს შეუწყობს მიმდინარე ხუთწლედის დიდი დავალებების არა მარტო წარმატებით შესრულებას, არამედ წარმოქმნის შესაძლებლობას მათი მნიშვნელოვანი გადაჭარბებისათვის. მან რწმენა გამოთქვა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით შეძლებენ გამოავლინონ და ჩააყენონ საქმის სამსახურში ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები, რითაც შესაძლებელი იქნება აღინიშნონ სსრ კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს წელიწადი ახალი შრომითი გამარჯვებებით.

ხიტყვა მიეცა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის მექანიზატორს შ. ჯინჭარაძეს. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა საწარმოო მიღწევები აქვს მის კოლმეურნეობას, რომელიც კომუნისტური შრომის კოლექტივის სპეციალი წოდებას ატარებს. აქ შარშან ჩაის უხვი მოსავალი მოიწიეს — მოკრიფეს 1.734 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, რაც 269 ტონით აღემატება გეგმას. ამასთან საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 7.050 კილოგრამს მიაღწია. გადაჭარბებით შესრულდა ციტრუსოვანთა დამზადების გეგმაც. მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. მარტო ციტრუსების წარმოებისაგან მიღებულმა შემოსავალმა 200 ათასი მანეთი შეადგინა. კიდევ უფრო სერიოზული ამოცანები დგას ხუცუბნელთა წინაშე წლეულს. მაგრამ კოლმეურნეობამ, გამოეხმაურა რა ზემომაჩხაანელთა მოწოდებას, გადაწყვიტა ეკისრა ახალი, გადიდებული ვალდებულებანი. მოკრიფენ და ჩააბარებენ სახელმწიფოს 1.750 ტონა ხარისხოვან ფოთოლს — გეგმაზე 283 ტონით მეტს, ხოლო საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 7.100 კილოგრამს. სულ ხუთწლედის განმავლობაში დასახულია გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 800 ტონა ჩაის ფოთოლი, საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა გაადიდონ 7.500 კილოგრამამდე. მნიშვნელოვნად გაიზრდება მანქანების როლი ჩაის წარმოებაში. ხუთწლედის დამლევისათვის მანქანებით აიღებენ მოსავლის 80 ჰექტარ ფართობზე. შარშან „საქართველოს" მანქანებით კოლმეურნეობაში მოკრიფეს 176 ტონა ფოთოლი, ხოლო პირადად ჯინჭარაძემ 50 ტონა მოკრიფა 11 ჰექტარზე. წლეულს ახალგაზრდა მექანიზატორი აპირებს 6 ათას კილოგრამამდე გაადიდოს საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა, ორ ახალგაზრდას შეასწავლოს მექანიზატორის პროფესია.

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. შერძაძემ თათბირის მონაწილეებს გააცინო თავისი მრავალდარგოვანი მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, აუწყა, რომ კოლექტივმა მიმდინარე წლისათვის იკისრა დიდი ვალდებულებანი, და აღუთქვა, რომ ახალშენელები პირნათლად შეასრულებენ დაპირებას.

აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი

ტრიბუნაზეა ქედის რაიონის სოფელ ხარაულის კოლმეურნეობის მეთაბაქოე ნ. ტაბიძე. მან თქვა, რომ კოლექტივმი, სადაც იგი შრომობს, სუფეს უმაკალითო აღმავლობა. რომელიც ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებმა გამოიწვიეს. შარშან ნ. ტაკიძემ სახელმწიფოს ჩაბარა 950 კილოგრამამდე ხმელი თამბაქო, ხოლო ახლა ამხანაგებთან ერთად იბრძვის ახალ ვალდებულებათა შესასრულებლად, საფუძველს იყრის უხვ მოსავალს. მათ გადაწყვეტილი აქვთ სახელმწიფოს მიაყიანონ 500 ცენტნერი თამბაქოს ნედლეული, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გეგმას.

სანოგაოლებრივი წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვნად ამაღლების, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდების, რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცების შესახებ ილაპარაკა თათბირზე ქობულეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ბერეზინმა. კარგად დაამთავრეს ქობულეთელებმა გასული წელი. დიდი გადაჭარბებით შესრულეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში დაწესებული გეგმები. ეს ახალ გამარჯვებათა რწმენა დაარა. ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებმა რაიონის მშრომელებში ენერგიის ახალი მოზღვავება გამოიწვიეს. მათ იკისრეს ვალდებულება აწარმოონ გეგმის გადამეტებით დიდძალი ჩაი, ციტრუსები, მეცხოველეობის პროდუქტები, ხილი და ბოსტნეული.

ამჟ. ბეჟანიძემ დაასახელა საზოგადოებრივი წარმოების მოცულობის გადიდების რეზერვები. ჩაის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა რაიონში საკმაოდ მაღალია — 6 ათასი კილოგრამი, მაგრამ მოეკ რიგ მეურნეობებში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ნაკლებია. ამიტომ ის არის, რომ ავიყვანოთ ჩამორჩენილნი მოწინავეთა დონემდე. ამას მოწინავე გამოცდილების დანერგვის, ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური შუამაობის სრულყოფის გზით მივაღწევთ. საჭიროა ყველგან გულდაგული დავიცვათ პლანტაციების მოვლა-დამუშავების საკვალიფიკაციური წესი, დროულად და ხარისხიანად განვახორციელოთ საჭირო ღონისძიებანი, არ დაგუშვათ ფოთლის დანაკარგები კრეფის დროს.

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ბ. დოლიძემ აღნიშნა, თუ როგორ ემზადებიან მისი მეურნეობის წევრები საბჭოთა კავშირის სახელოვნი ეუბილესათვის, გააკეთ დამსწრეთ მათი შრომითი წარმატებანი ახალი ხუთწლედის პირველ წელს და მიმდინარე წლისათვის ნაკისრი გადიდებული ვალდებულებანი. წლეულს კოლმეურნეობა აპირებს მიაყიდოს სახელმწიფოს 890 ტონა ჩაის ფოთოლი, მნიშვნელოვანი რაოდენობის ტუნგის ნაყოფი, აბრეშუმის პარკი, დაფნა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

თამბაქო წამყვანი კულტურაა შუახევის რაიონში. რაიონის კოლმეურნეობათა მთელი შემოსავლის 75 პროცენტი მას მოაქვს. ამიტომ შუახევის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. მეცხლაძემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა მეთამბაქოობის შემდგომი განვითარების პრობლემებს, ილაპარაკა გზებზე, რომლებითაც აპირებენ რაიონის მშრომელები მომდინარე წლისათვის ნაკისრი მაღალ სოციალისტურ ვალდებულებათა რეალიზაციას.

ციხისძირის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მ. მინაშვილმა ილაპარაკა დიდ გამარჯვებებზე, რომლებიც მეურნეობის კოლექტივმა მოიპოვა განვლილ ხუთწლედში და მომდინარე ხუთწლედის პირველ წელს. ამ წარმატებათა მეოხებით ციხისძირული მეციტრუსეები ხუთი წელია ზედიზედ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილენი ხრიან. აქ გადაწყვეტილი აქვთ ხუთწლედის განმავლობაში დაამზადონ ორი ათასი ტონით მეტი ციტრუსი, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით, ოთხ წელიწადში შეასრულონ ხუთწლიანი დავალება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება ცხრა პროცენტით, შრომის ნაყოფიერება კი გაადიდონ რვა პროცენტით.

თათბირის მონაწილეებს ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანებაზე ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის პირველი მდივანი მ. ბერიძე. მან თქვა, რომ შეჯიბრებას მეთაურობენ კომუნისტები, რომლებიც პირად მაგალითს გვიჩვენებენ და ხელმძღვანელობენ ორგანიზატორულ მუშაობას.

თათბირზე გამოვიდნენ აგრეთვე ხელვაჩაურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ბახტაძე, ქედის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. თავდგირიძე, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ა. ანანიაშვილი, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ჭანტაძე.

თათბირის მონაწილეებმა გადასინჯეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების არსებული შესაძლებლობანი და აჭარის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ ბრძანებულებას, ერთობლივ ბრძანებულებას, ერთობლივ ბრძანებულებას.

ბრძანებულება

ერთობლივ ბრძანებულებას ჩაბარდება 2.600 ტონა თამბაქო, ანუ გეგმაზე 400 ტონით მეტი. ამისათვის გადაწყვეტილია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს კვალიფიკაციის ეკეთ მომზადების სტანდარტული თამბაქოს ჩითილის გამოსაყენებად ისეთი ბარაულით, რომ მისი დარგვა ღია გრუნტში დამთავრდეს 25 მაისისათვის.

თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იმას, რომ საჭიროა განვითარდეს მეცხოველეობა საკვები ბაზის განმტკიცების, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის გზით. **გადაწყვეტილია სახელმწიფოს წლის განმავლობაში მიეყიდოს 2.200 ტონა ხორცი გეგმით გათვალისწინებული 1.656 ტონის ნაცვლად, 5.500 ტონა რძე, ანუ გეგმაზე 940 ტონით მეტი, აგრეთვე ცხრა მილიონი ცალი კვერცხი, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებულია 7,66 მილიონი ცალი.**

ვალდებულებებით გათვალისწინებულია დროზე და ზუსტად მოემზადონ საგაზაფხულო და საზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის, მაღალ დონეზე დანერგონ წარმოების დასაბუთებული დაგეგმვა, სანიმუშოდ მოაწყონ პირველადი აღრიცხვა, სისტემატურად გააანალიზონ სამეურნეო საქმიანობის შედეგები, მკაცრად დაიცვან მადალნაყოფიერი შრომის მატერიალური სტიმულირების პრინციპი. გაუმჯობესდება შრომის ორგანიზაცია, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩაებმება სოფლის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა, გაძლიერდება ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მოთხოვნათა დაცვისათვის.

დასახული მიჯნების დაუფლების უტყუარი გზაა, აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა, შრომის ნაყოფიერების ყოველნაირად გადიდება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება თანამედროვე მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვის საფუძველზე.

თათბირის მონაწილეებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს მოუწოდეს კიდევ უფრო ფართოდ გაანალონ სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე ხუთწლედის მეორე წლის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გეგმებისა და ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულებისათვის, სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. (საქდესი).



ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲛᲨᲕᲔᲜᲘᲒᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

რესპუბლიკის რაიონებში მიმდინარეობს პარტიულ ორგანიზაციათა აქტივების კრებები, რომლებიც იხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგებსა და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანებს.

კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აზრს რომ გამოხატავენ, კრებების მონაწილენი ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პლენუმის დადგენილებას პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო საქმიანობის შესახებ, რომელიც მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** მოხსენების გამო.

ლაგოდეხის რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. პატიაშვილმა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ზ. გელდიაშვილმა** მოხსენება გააკეთა **წითელწყაროს** რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე.

მოხსენება **ბოლნისის** რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ა. ლაბახუამ.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგემ **ო. ჩერქეზიამ** მოხსენება გააკეთა **წყალტუბოს** რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე.

ლანჩხუთის რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგემ **ფ. ანანიაშვილმა.**

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორმა **ა. ტაკიძემ** მოხსენება გააკეთა **თერჯოლის** რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე.

მოხსენება **მცხეთის** რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **კ. გარდაფხაძემ.**

„გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა **დ. მჭედლიშვილმა** მოხსენება გააკეთა **უკრანის** რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე.

პარტიული აქტივების კრებებზე ერთხმად მიიღეს რეზოლუციები, რომლებშიც მოლიანად და სავსებით იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სკკპ ისტორიული XXIV ყრილობის გეგმების განხორციელებას, ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პრაქტიკულ საქმიანობას სსრ კავშირის ეკონომიური, პოლიტიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფისათვის. რეზოლუციებში გამოხატულია გულწრფელი მისწრაფება, რომ კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, იბრძოლონ მეცხრე ხუთწლედის გეგმების გადამდე შესრულებისათვის. (საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲰ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲠᲐᲝᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

გუშინ, 11 იანვარს, გაიმართა საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა სხვა სამუშაოს გადასელასთან დაკავშირებით **კ. ცქიტიშვილი** გაათავისუფლა პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან და გამოიყვანა იგი რაიკომის ბიუროს შემადგენლობიდან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად **აირჩეულია ბ. დეშერაძე.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ლოლაშვილი.**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲠᲐᲝᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

გუშინ შედგა თბილისის მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ **ბ. დემეტრაძე** გაათავისუფლა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი პარტიის რაიკომის პირველ მდივნად არჩევის გამო.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია **თ. ბადურაშვილი.**

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. ბუხრაშვილი.**

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲜᲐᲓᲔᲟᲓᲐ ᲙᲣᲠᲩᲔᲜᲙᲝᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

სოხუმი, 11 იანვარი. (საქდესის კორ.). 1970 წლის ოქტომბრის იმ დღეებში ჩვენს ქვეყანას მშვიდობიანი ცა დაჰკურებდა, „ან-24“ თვითმფრინავი კი თავის ჩვეულებრივ რეისს ასრულებდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ სწორედ მშვიდობიან ცაში გამოანათა გმირობამ და ვაჟკაცობამ, რომლებიც, ისევე როგორც დიადი ბრძოლების ჭარბიტხლიან წლებში, წითელი დროშის საბრძოლო ორდენით აღინიშნა. ახალგაზრდა ბორტგამყოლი ნადია კურჩენკო ეკიპაჟისა და მგზავრთა სიცოცხლის გადასარჩენად წინ გადაუდგა პილოტის კაბინის კართან ბანდიტებს.

ბანდიტის ტყვიამ შეაშფოთა მამაცი კომკავშირელი ჭალიშვილის გულის ძგერა.

მას შემდეგ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ნადია კურჩენკოს გმირობა ხალხის ხსოვნაში არ წაშლილა. სოხუმის კომკავშირულ პარკში ვეტერანების ხეთა ჩრდილში განისვენებს ბორტგამყოლი. და სიმბოლურია, რომ სწორედ სოხუმში იწყება დღეს ბორტგამყოლთა პირველი სრულიად საკავშირო კონკურსი ფრთოსანი ლაინერის საუკეთესო დისახლისის წოდებისათვის.

კონკურსის მონაწილენი, რომლებიც სოხუმში ჩამოვიდნენ მოსკოვიდან და თბილისიდან, ლენინგრადიდან და ტიუმენიდან — ჩვენი ქვეყნის რამდენიმე ათეული ქალაქიდან, ვიდრე პროფესიონალ შეჯიბრებას დაიწყებდნენ, მივიდნენ კომკავშირულ პარკში მეგობრისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გამოსახატავად.

...ნადიას ძეგლთან, რომელსაც ჯერ კიდევ თეთრი სხეურველი ახურავს, იკვლევა სპეციალური ყარაული, სპეციალურ ყარაულში დგანან პიონერები, სოხუმის გარნიზონის მოიმრები. კომკავშირის პარკში სულ უფრო მეტი ხალხი გროვდება.

ნადეჟდა კურჩენკოს ძეგლის გახსნაზე მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნები ა. ძაძუა და მ. ხვარწკია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ოტირბა, საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივნები გ. ჯოხთაძე და ნ. ალანი, სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ამიჩბა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ი. გამრეკელი, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს, სამინისტროს პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე — მოგალი კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე პ. ზელინსკი, სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს პოლიტსამმართველოს უფროსის თანაშემწე კომკავშირულ მუშაობაში ა. მასლოვი, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს უფროსი ბორტგამყოლი ვ. ფადეევა, საქართველოს სამოქალაქო აviაციის სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსი ი. ავალიანი, ავიატორები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ერთი წუთით სიჩუმე ისადგურებს. ძეგლს ნელა სცოლდება საბურველი და დამსწრეთა თვალწინ გადაიშალა ნადეჟდა კურჩენკოს ბრინჯაოს ქანდაკება.

ძეგლი გვირგვინებით შეამკეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს, სამინისტროს პოლიტსამმართველოს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს სოხუმში ჩამოსული ბორტგამყოლების სახელით.

მიტინგი გახსნა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ძაძუამ.

სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ი. გამრეკელმა.

მიტინგის მონაწილეებს შთამბეჭდავი სიტყვებით მიმართეს სოხუმის საგალაქტიერო ფაბრიკის ნადეჟდა კურჩენკოს სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა დ. ჩაკვაძ. ა. მასლოვმა, პირველმა აფხაზმა მფრინავმა ჭალმა მ. ავიძემ, ბორტგამყოლმა ლ. უსპენსკაიამ, კომკავშირელმა ნ. მიმინოშვილმა, „ან-24“ თვითმფრინავის ყოფილმა მეორე პილოტმა, ამჟამად ასეთივე ხომალდის მეთაურმა ხ. შავიძემ.

თბილისის სამხატვრო აკადემიის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ჯ. ვაშაკიძემ აღნიშნა, რომ ახალგაზრდა მოქანდაკეებმა თ. ქუთათელაძემ და ნ. ჯორჯაძემ ბრწყინვალედ შეასრულეს კომკავშირული დავალება.

ბორტგამყოლთა კონკურსის მონაწილენი გაეცნენ სოხუმის ღირსშესანიშნაობებს, საღამოს კი შეხვდნენ აფხაზეთის დედაქალაქის ახალგაზრდობას. შეხვედრა გაიმართა ჯორკის სახელობის კულტურის სახლში.

ᲓᲐᲙᲐ ᲛᲣᲜᲯᲘᲒᲣᲠᲘ ᲠᲐᲙᲛᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

11 იანვარი. (საკდესი). აქ გამართულ მასობრივ მატინგზე მუჯიბურ რაჰმანმა განაცხადა, რომ ბანგლა დეში დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოა და ყოველთვის დამოუკიდებელი იქნება.

მუჯიბურ რაჰმანმა ბანგლა დეშის ხალხისა და მთავრობის სახელით გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ხალხებსა და მთავრობებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ბანგლა დეშის 75-მილიონიანი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

შეეხო რა საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებს, მ. რაჰმანმა აღნიშნა, რომ მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის მებრძოლი ახალგაზრდა რესპუბლიკა შეეცდება, რომ იგი მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

მ. რაჰმანმა მოუწოდა მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას, „ჟუკთი ბაჰინის“ ეროვნული განთავისუფლების რაზმების წევრებს მთელი ძალ-ღონე მოახმარონ ქვეყნის ეკონომიკის რეკონსტრუქციისათვის ბრძოლას.

დამოუკიდებლობა შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ ფიქცია, თქვა მუჯიბურ რაჰმანმა, თუ მილიონობით ჩვენს თანამემამულეს არ ექნება საკმელი, ტანსაცმელი, ბინები, თუ ქვეყანა არ დადგება საკუთარ ფეხზე და არ განამტკიცებს თავის ეკონომიურ დამოუკიდებლობას.

ᲠᲐᲙᲑᲐᲗᲘ

ᲒᲖᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

11 იანვარი. (საკდესი). აქ ჩილედან სამშობლოში მიმავალი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო.

საღამოს ა. პ. კირილენკო შეხვდა მარკოს პრემიერ-მინისტრს ვ. ლამრანს.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ

ᲪᲜᲔᲡ ᲒᲐᲜᲒᲚᲐ ᲓᲔᲨᲘ

11 იანვარი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება დელიდან, იქ მყოფმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოტო ფინცერმა დღეს მიიღო თანამედროვე ბანგლა დეშის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მისიის ხელმძღვანელი ჩოუდპური.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. ულბრიხტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. შტოფის დავალებით მან გადასცა წერილი ბანგლა დეშის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ მ. რაჰმანისადმი.

წერილში ოფიციალურად ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ცნობს საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით სუვერენულ დამოუკიდებელ ბანგლა დეშის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲣᲐᲠᲖᲔ ᲓᲒᲐᲜᲐᲜ

11 იანვარი. (საკდესი). ანჯელა დევისის ადვოკატებმა კვლავ მოითხოვეს სასამართლო პროცესი ამერიკელი კომუნისტის „ხაქმეზე“ კალიფორნიის ქალაქ სან-ხოსედან სან-ფრანცისკოში გადაიტანონ.

როგორც ცნობილია ანჯელა დევისის ადვოკატის, თვალსაჩინო კალიფორნიელი იურისტის გ. მურის განცხადებაში, რაიონი, სადაც სან-ხოსე მდებარეობს, ადგილობრივ რასისტთა დასაყრდენია, რაც გამორიცხავს რამდენადმე ობიექტური სასამართლო გარჩევის შესაძლებლობას.

მაგრამ მოსამართლემ, რომელსაც კალიფორნიის ხელისუფლებამ დაავალეს ანჯელა დევისის „საქმის“ გარჩევა, უარი თქვა რაიმე პასუხი გაეცა დამცველთა დასაბუთებულ მოთხოვნაზე.

ᲡᲐᲜᲓᲐᲠᲘ ᲒᲔᲛᲖᲔ

ინგლისის ყოფილ ტრანსოკეანო ლაინერ „კუინ ელიზაბეტზე“, რომელიც ჰონკონგის ნავსადგურში იდგა, ხანძარი გაჩნდა. ამ გიგანტური ლაინერის წყალწყვა 80 ათასზე მეტი ტონაა, აგებულია 33 წლის წინათ.

ხომალდი მთლიანად ცეცხლის ალში გაეხვია. გემზე მყოფი 200 კაცი გადაარჩინეს. ხანძრის მომენტში გემი, რომელიც ჰონკონგის ჩინელმა ფინანსურმა მაგნატმა ტუნმა იყიდა, კაპიტალურ რემონტზე იდგა. ხანძრის მიზეზი დადგენილი არ არის.

(საკდესი).

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). სენატორმა ჰუბერტ ჰემფრიმ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ აპირებს დაასახელოს თავისი კანდიდატურა ამერიკის პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიისაგან 1972 წლის არჩევნებში.

ᲓᲦᲙᲐ

ᲛᲣᲯᲘᲑᲣᲠ ᲠᲐᲰᲛᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

11 იანვარი. (საკდესი). აქ გამართულ მასობრივ მატინგზე მუჯიბურ რაჰმანმა განაცხადა, რომ ბანგლა დეში დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოა და ყოველთვის დამოუკიდებელი იქნება.

მუჯიბურ რაჰმანმა ბანგლა დეშის ხალხისა და მთავრობის სახელით გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ხალხებსა და მთავრობებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ბანგლა დეშის 75-მილიონიანი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

შეეხო რა საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებს, მ. რაჰმანმა აღნიშნა, რომ მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის მებრძოლი ახალგაზრდა რესპუბლიკა შეეცდება, რომ იგი მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

მ. რაჰმანმა მოუწოდა მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას, „ჟუკთი ბაჰინის“ ეროვნული განთავისუფლების რაზმების წევრებს მთელი ძალ-ღონე მოახმარონ ქვეყნის ეკონომიკის რეკონსტრუქციისათვის ბრძოლას.

დამოუკიდებლობა შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ ფიქცია, თქვა მუჯიბურ რაჰმანმა, თუ მილიონობით ჩვენს თანამემამულეს არ ექნება საკმელი, ტანსაცმელი, ბინები, თუ ქვეყანა არ დადგება საკუთარ ფეხზე და არ განამტკიცებს თავის ეკონომიურ დამოუკიდებლობას.

ᲡᲘᲪᲠᲣᲔ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲡ

ვენა, 11 იანვარი. (საკდესი). წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მეორედ ამხილეს თავისი ქვეყნის მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე როგორც ცრუ და მატყუარა.

მეორედ დადასტურდა, რომ იგი მზად არის წაგიდეს ომის გაჩაღებისა და მძიმე საერთაშორისო კრიზისების რისკზე თავისი დიდმპყრობელური ინტერესებისათვის. ეს ნათქვამია გაზეთ „ფოლქსშტიმეს“ სარედაქციო სტატიაში „ანდერსონის დოკუმენტები“.

მარტო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაზე რომ იყოს დამოკიდებული, დღეს ინდოსტანის სუბკონტინენტზე უკვე წარმოშვებოდა მეორე ვიეტნამი, აცსადეს გაზეთი.

ამ კონფლიქტში ამერიკის შეერთებული შტატების ავანტიურისტული მოქმედების მიზეზია, ნათქვამია სტატიაში, — და ამას ხაზს უსვამს „ვაშინგტონ პოსტი“ — ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი შეთანხმება პეკინში ნიქსონის ვიზიტის წინ.

ანდერსონის მიერ გამოქვეყნებულ საიდუმლო დოკუმენტებს დიდი შედეგები მოჰყვება მომავალში, აღნიშნავს „ფოლქსშტიმე“. ის ქვეყნები, რომლებიც ამასწინათ სიამოვნებით უყურებდნენ კენჭს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის რეზოლუციების პროექტებს, რაკი მოტყუებულად იგრძნობენ თავს, დაფიქრდებიან, შეიძლება თუ არა ენდონ ამერიკის მთავრობას.

რამდენად ამ სკანდალის შედეგად შერცხვენილი და მხილებულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, ამაზე ადასტურებს ამ ბოლოს ოქტომბერში ბუენოს აირესში ლატინ ამერიკის ქვეყნების ელჩებთან ჰენრი კისინჯერის ფარული შეხვედრა, — ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ ამ ადამიანთა გადაკეკვეს სულ უფრო ძლიერდება. ფართოდ გავრცელებულია ცუდი კვება და შიმშილი. სიტუაციას აუარესებს მთავრობის პოლიტიკა — ყოველწლიურად ათასობით აფრიკელის ძალით გადასახლება რეზერვაციებში“.

ეს ნათქვამია მოხსენებაში „აფრიკელთა ცხოვრების დონე სამხრეთ აფრიკაში“, რომელიც აქ გადავრცელეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამსახურებმა.

არცთუ უკეთესია იმ აფრიკელთა მდგომარეობა, რომლებიც ქალაქებში ცხოვრობენ. მათი რეალური ხელფასი განუწყვეტლივ მცირდება. „პრივილეგიურ უმცირესობასაც კი, რომელიც დასაქმებულია დამამუშავებელ მრეწველობაში, — აღნიშნულია მოხსენებაში, — უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მკვეთრად შეუმცირდა რეალური შემოსავალი. იოჰანესბურგის აფრიკულ უბნებში ადამიანთა უმრავლესობას აქვს შემოსავალი, რომელიც „უმცირეს საარსებო მინიმუმსაც“ კი ვერ აღწევს“.

მასობრივი უმუშევრობა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკელი მოსახლეობის მეორე უბედურებაა. მოხსენების მონაცემებით, ყოველი მეოთხე შრომისუნარიანი აფრიკელი უმუშევარია. პრეტორიის რასისტული რეჟიმის მეთაური ფორსტერიც კი იძულებულია აღიაროს, რომ „სამხრეთ აფრიკის ოფიციალურ ანგარიშებში“ ... [illegible] ... ეროვნული ... [illegible] ... ეროვნული ... [illegible] ... ეროვნული

ᲛᲐᲡᲔᲯᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲢᲐᲠᲘ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

№ 60

ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ

ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ

ᲑᲔᲕᲠ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას საწვავ-საცხები მასალების ეკონომიურად ხარჯვის, ტრანსპორტირების, შენახვის კარგი გამოცდილება აქვს. იქ, სადაც ჯეროვნად იყენებენ ამ გამოცდილებას, საწვავი მასალების მნიშვნელოვანი ეკონომია აქვთ და სათანადო მარაგიც ყოველთვის მოეპოვებათ. ამ მხრივ წარმატებები მოიპოვეს სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ასპინძის, ახალქალაქის, მაიაკოვსკის, საჩხერის, გეგეჭკორის, ლენინგორის რაიონებისა და აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

მაგრამ ყველგან ასე როდია. ზოგან ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა შესრულებულ სატრაქტორო სამუშაოთა აღრიცხვას, ამის შედეგად სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საწვავის ხარჯვა ნორმაზე დიდია. შემოწმებით გამოირკვა, რომ მარნეულის რაიონის უულარის ცხენსაშენ საბჭოთა მეურნეობაში აღრიცხული არ იყო 1.500 ჰექტარზე შესრულებული სატრაქტორო სამუშაო და რაიონის სტატისტიკურ ანსპექციასაც არავითარი ცნობა არ გაჰქონდა. დამთა-გიაღოარხის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობაში აღურიცხველი იყო 1.599 ჰექტარი სატრაქტორო სამუშაო, რის შედეგადაც ერთ ჰექტარზე ნაცვლად ფაქტიურად არსებული ეკონომიისა ხელოვნურად საწვავის გადახარჯვა მივიღეთ. ამ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში აღურიცხველობის შედეგად შესრულებული სატრაქტორო სამუშაოები შემცირებული იყო, რაც თავისთავად ზრდიდა ერთი პირობითი ჰექტარის დამუშავებისათვის საჭირო საწვავის რაოდენობას. დმანისის რაიონის 6 კოლმეურნეობაში მთლიანად აღურიცხავი იყო თელიანი ტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოები. ქარელის რაიონის სოფელ მოხისის კოლმეურნეობაში აღრიცხული არ იყო ტყიდან მორების გამოტანის, ჭარხლის ნათესების მორწყვის და მთელი რიგი სხვა სამუშაოები, რომლებზეც 628 ცენტნერი დიზელის საწვავი დაიხარჯა. სატრაქტორო სამუშაოთა პირველადი აღრიცხვის საქმეში ანალოგიური მდგომარეობაა ქარელის და თიანეთის რაიონის რამდენიმე კოლმეურნეობაშიც.

ზოგიერთ მეურნეობათა ხელმძღვანელები აღოგვეენ ზემდგომი ორგანოების დადგენილებას, რომლითაც აკრძალულია საწვავის გამოყენება არაპირდაპირი დანიშნულებით და ნაცვლად ამისა, რომ ფერმების, პურის საცხობების, აბანოებისა და კანტორების გასათბობად იაფი საწვავი გამოიყენონ, ხმარობენ დიზელის საწვავს. ასეთი მდგომარეობა გამოვლინდა წყალტუბოს რაიონის მეფრინველეობის ფაბრიკაში, თეთრი წყაროს მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში, დმანისის რაიონის სოფელ გომარეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში, ქარელის რაიონის რუისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში, მარნეულის რაიონის უულარის ცხენსაშენ საბჭოთა მეურნეობაში.

მთელი რიგი კოლმეურნეობების ხელმძღვანელები თავიდანვე გადიდებული ნორმებით გეგმავენ ოვითეული ჰექტარის დამუშავებისათვის საჭირო საწვავ-საცხებ მასალას, ამით წინასწარ ქმნიან საწვავის უყაირათოდ ხარჯვის შესაძლებლობას, შემდეგ კი კონტროლს არ უწევენ აგრეგატების სრული დატვირთვით მუშაობას.

ყველგან დანერგილი არ არის ტრაქტორების საწვავით კვალში გაწყობის საქმე. საწვავის შესანახი რეზერვუარები შეღებილი არ არის თეთრად, რაც ინტენსიურ აორთქლებას იწვევს. რესპუბლიკის 223 მეურნეობიდან და 1.234 კოლმეურნეობიდან მხოლოდ 137 კოლმეურნეობისა და 28 მეურნეობაშია საწვავით გამწყობი მექანიზებული სეტი. საწვავი იკრგება გადაზიდვის, შენახვის, ტრაქტორების და ავტომანქანების გაწყობის დროსაც.

აღნიშნულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე ამსჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ხოლო ამ საქმეში დამნაშავე პირებს დაადო სათანადო სასჯელი.

Ი. ᲓᲖᲐᲚᲘ,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ხოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲒᲐᲕᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების შენობების კაპიტალური შეკეთებისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენების სისწორე და აღნიშნა, რომ ამ საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკის სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების კაპიტალურ შეკეთებაზე ყოველწლიურად იხარჯება დიდი სახიუსტეტო სახსრები, რომლებშაც განვლილ ხუთწლედში შეადგინა 30 მილიონ მანეთზე მეტი, ხოლო 1971 წელს — 7,1 მილიონი მანეთი. სახიუჯეტო სახსრებს გარდა, ამ მიზნით, აგრეთვე სასკოლო ინვენტარისა და ლაბორატორიული მოწყობილობის შესაძენად და შესაკეთებლად დიდ ხარჯებს ეწევიან საშეფო ორგანიზაციები.

ასეთი დიდი თანხების რაციონალურად გამოყენების ნაცვლად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და სახალხო განათლების განყოფილებები, სკოლებისა და საბავშვო სკოლამდელ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

საბავშვო დაწესებულების ხელმძღვანელი იძულებულია თვითონ გამონახოს მოიჯარე ორგანიზაციები, დადოს მათთან პირდაპირ ხელშეკრულებები, შეიძინოს ზოგიერთი მასალა საცალო ფასებში. ფასების კონიუნქტურულ სხვაობათა ანაზღაურება ხდება საშუშაოთა ხარისხის გაუარესების ან ფასდებათა გადიდების ხარჯზე. მაგალითად: ქ. სოხუმის № 2 სკოლა-ინტერნატის კაპიტალური შეკეთების დროს საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსთან არსებულმა სამოქალაქო მომსახურების ბიურომ (უფროსი დ. ლომია) სადურგლო ნაწარმის დამზადებაზე დაწესებულ სახელმწიფო ფასდებებთან შედარებით მეტი გადაახდევინა 1.560 მანეთი.

ქ. ბათუმში (სახალხო განათლების საქალაქო განყოფილების გამგე გ. ლორთქიფანიძე) და აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რაიონში სასკოლო შენობებისა და საბავშვო დაწესებულებების კაპიტალური შეკეთების ტექნიკური დოკუმენტაცია და დეფექტური აქტები საერთოდ არ დგება, გამოყოფილი სახსრები იხარჯება სკოლების დირექტორთა ერთპიროვნული გადაწყვეტილებებით, ხშირად გადაუდებელ სამუშაოთა ჩატარების თანმიმდევრობის გაუთვალისწინებლად.

შეკეთების სამუშაოები სკოლებში ხშირად დაბალი ხარისხისაა, ზოგჯერ კი მოითხოვს მნიშვნელოვან ხარჯებს შესწორებისათვის. არის კაპიტალური შეკეთებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრებს არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევები.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლების ეზოების შეღებვა აკრძალულია, ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მ. გოგიტიძის ნებართვით გასული წლის დასაწყისში № 138 სკოლის (სკოლის დირექტორი უ. შარაშენიძე) შემოავლეს ლითონის ბადისებური-ღობე, რაზედაც დაიხარჯა 6,5 ათასი მანეთი, აქედან 2 ათასი მანეთის სამუშაოები უმაქნისი აღმოჩნდა. სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში სასკოლო ინვენტარის შეკეთება ხორციელდება შენობების კაპიტალური შეკეთების სახსრების ანგარიშში.

ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების კაპიტალურ შეკეთებაზე გამოყოფილი სახსრები ათვისებულია არადამაკმაყოფილებლად და სასწავლო წლის დაწყებისას საჭირო სამუშაოები არ არის დამთავრებული.

არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება ტექნიკური ზედამხედველობა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებზე, სუსტია კონტროლი ანაზღაურების ხისწორისადმი, დაშვებულია შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის წარმატება, მათი სირთულის გაზრდა, გადიდებული ფასდებათა მიყენება.

განხილულ საკითხზე კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება.

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ — ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲪᲐᲒᲔᲠᲘ. (სკ. კორ.). სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა თავისი ერთ-ერთი მორიგი სხდომა მიუძღვნა რაიონის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

როგორც კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რაიონის სავაჭრო ქსელში კვლავ შეიღწევს ხოლმე დაბალი ხარისხის პროდუქცია, რაც მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ამ მხრივ არანორმალური მდგომარეობაა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში. შემოწმებული 8 სასადილოდან კერძების ხარისხი არადამაკმაყოფილებული - იყო 4 სასადილოში, ტყვიშის, ცაგერის, ალპანისა და ოფურიშის ხიდთან მდებარე სასადილოებში მომზადებულ კერძებს კალორიულობა აკლდა.

ლაჯანის ლიმონათის ქარხანა (უფროსი ნ. პაპაშვილი) ლიმონათს ხშირად უტიკეტოდ უშვებს. მომხმარებლისათვის გაუგებარია მისი ჩამოსხმის თარიღი. უფრო მეტიც, აქაური პროდუქცია ბუნყიანია. შემოწმების დროს ლიმონათში აღმოჩნდა მკვდარი ბუზი. ქარხნის ხელმძღვანელმა ხელი მიაყო სიყალბეს. მაქრის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩამოწერის მიზნით უშვებენ ალუბლის ლიმონათს, გასაღების ზედნადებში კი უჩვენებენ მსწლის ლიმონათს. ამ გზით ნ. პაპაშვილმა მარტო ორი თვის განმაღლობაში ზედმეტად ჩამოწერა 255 კილოგრამი შაქარი.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მიერ გამოშვებული ავტრის ხარისხი ნული წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ, როგორც აქ ითქვა, იგი მაინც ვერ აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის დაცვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიიღო სათანადო დადგენილება.

თბილისის ფაბრიკა „კრწანისის“ სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები (მარცხნიდან) — მექანიკური საამქროს უფროსი თ. ნიფარიძე, გამოშვები საამქროს ბუღალტერი დ. აბელედიანი, კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი მ. აბულაძე აფორმებენ „სახალხო კონტროლის“ ფურცელს.

ფოტო ბ. ᲑᲘᲖᲘᲜᲘᲡᲘᲡ.

ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲑᲝᲠᲘᲡ საკონსერვო ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფი და საგუშაგოები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. გაიზარდა უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, შემცირდა რეკლამაციები.

გასული წლის სეზონის დაწყებიდან ქარხანამ გამოუშვა 29 მილიონზე მეტი პირობითი ქილა სხვადასხვა სახის კონსერვი, უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდა 196,5 პროცენტით. გორის საკონსერვო ქარხანამ შარშან პირველმა — „საქკონსერვრეზერვში“ მიიღო საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის.

ქარხნის წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ სახალხო კონტროლის ჯგუფსა და მის საგუშაგოებს, რომლებშიც 71 კაცია გაერთიანებული. შექმნილი გვაქვს სახალხო კონტროლიორთა ორი სკოლა, სადაც გაერთიანებულია 30 მსმენელი. აქ სახალხო კონტროლიორთა 70 პროცენტი მუშაობ. ქარხნის საქვაბე საამქროს საგუშაგოს წევრების მიერ რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით დაზოგილ იქნა 11,1 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 60 ტონა საწვავი მაზუთი, 40 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი და 24 ათასი კუბმეტრი სასმელი წყალი.

ცნობილია, რომ ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებისათვის პირველი პირობაა კარგი ნედლეულის მიღება და მისი გადამუშავება ტექნოლოგიური წესების დაცვით. ამ მიზნით საამქროებზე მიმაგრებული არიან სახალხო კონტროლიორებისაგან შექმნილი კომისიები, რომლებიც ეხმარებიან საწარმოს კარგი, მაღალხარისხოვანი კონსერვების გამოშვების საქმეში.

Გ. ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲫᲔ,
გორის საკონსერვო ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ ᲐᲒᲐᲠᲔᲑᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ფოთის ორგანიზაციის აქტივის კრებამ განიხილა სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის ანგარიში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაწეული მუშაობის საქმეში.

მომხსენებელმა — სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. კუხალეიშვილმა და კამათში გამოსულებმა საოკეანო ფიქუზერის სამმართველოს პარტკომის მდივანმა მ. ჯაბუამ, ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხნის დირექტორმა რ. გაბისონიამ, ნავსადგურის სახალხო კონტროლის ბიუროს თავმჯდომარემ დ. კანკიამ, შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსმა შ. წუწუნავამ და სხვებმა ილაპარაკეს მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებზე, კონტროლის გაძლიერების საკითხებზე.

სულ ქალაქში შექმნილია კონტროლის 160 ჯგუფი და 130 საგუშაგო, რომლებშიც 2 ათასამდე კონტროლიორია გაერთიანებული. მათი ნაყოფიერი მუშაობის შედეგია ის, რომ გასულ წელს დაზოგილია 599.300 მანეთი, 1.435 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 324.200 ტონა პირობითი საბობრი, 138.900 ტონა საწვავ-საცხები მასალები, 3.750 ტონა შავი და 3.100 ტონა ფერადი ლითონები. ამასთან 26.853 საათით შემცირებულია სამუშაო დროის დანაკარგები.

აღინიშნა, რომ ცალკეული სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს. ისინი ნაკლებ იჩენენ ინტერესს საწარმოო გეგმების თანმიმდევრულად შესრულების, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფის საქმეში. 18 საწარმოდან 10 თვის გეგმა ვერ შეასრულა ხუთმა.

საწარმოებში ჯერ კიდევ დიდია მასალების, ნედლეულის, მზა პროდუქციისა და დაუყენებელ მოწყობილობათა ზენორმატიული ნაშთები.

ყურადღება გამახვილებულ იქნა აგრეთვე რკინიგზის ვაგონების მოცდენის, სამთვლინებო ხარჯების ზედმეტად გამოყენების და სხვა საკითხებზე.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის სახალხო კონტროლის მუშაობის ნ. მაკაიმ, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კ. შავიშვილმა, პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა გ. არჩაიამ.

Კ. ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ.

ᲡᲘᲠᲣᲛᲔ ᲮᲐᲠᲐᲩᲝᲔᲑᲖᲔ

ᲒᲐᲫᲘᲐᲜᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲝᲠᲨᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲝᲠᲘᲡ რაიონისათვის ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტი შენდება ლენინგორში. რაიონის ცენტრში მისვლისთანავე შეამჩნევთ თეთრი აგურით ნაშენებ კორპუსებს. შენდება სკოლა-ინტერნატის კომპლექსი, სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსებით, რაღინის კავშირგაბმულობის სახლი, რაიონმასკომის აღმინისტრაციული შენობა, პარტიის რაიონული კომიტეტის საცხოვრებელი ბინები, ხოლო რაიონის სოფელ ლარგვისში — საშუალო სკოლის ახალი შენობა. ყველა ამ ობიექტის მშენებლობას აწარმოებს საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 2 სამშენებლო ტრესტის (მმართველი ვ. ჭყონდაძე). მცხეთის სამშენებლო სამმართველო.

მცხეთელ მშენებლებს ერთი და ორი ობიექტი როდი აუშენებიათ, ამასთან აუშენებიათ დროულად და მაღალხარისხოვნად. ამიტომ მათ ნდობა და პატივისცემა დაიმსახურეს. ახლაც, როცა საქმე მთლიანად ჩაშლილი აქვთ, მცხეთელი მშენებლების კრიტიკას ლენინგორელი ხელმძღვანელი ამხანგები ერიდებიან. არა სურთ ურთიერთობა გააუარესონ მშენებლებთან, ცდილობენ როგორმე გამოასწორონ მშენებლობაში არსებული ხარვეზები. მაგრამ, როგორც ჩანს, ტკბილი სიტყვები მიზანს ვერ აღწევენ.

შევეხეთ ცალკეული ობიექტების მდგომარეობაზე.

დავიწყოთ რაისაბჭოს აღმასკომის აღმინისტრაციული სახლის მშენებლობიდან. მშენებლები აქ ჯერ კიდევ 1969 წელს მოვიდნენ. მას შემდეგ შენდება და შენდება ეს სახლი, ბოლო ეკ არ უჩანს. მშენებლობაზე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით გათვალისწინებული 225 ათასი მანეთიდან დღეისათვის ათვისებულია მხოლოდ 49 ათასი მანეთი. გასულ წელს ამ შენობის სამუშაოზე 86 ათასი მანეთი დაუშვეს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მცხეთელმა მშენებლებმა ამ თანხიდან მხოლოდ 400 მანეთი ანუ თანხის 0,6 პროცენტი ითვისეს.

ამ ობიექტზე ერთი კეთილსინდისიერი ამბავი მოხდა. მშენებლები „ვერ გიერკვნენ“ ტექნიკურ დოკუმენტაციაში და კიდლების წყობა ორი აგურის ნაცვლად 1,5 აგურზე დაიწყეს. სართული რომ დაამთავრეს, მერე ჩაფიქრდნენ, ვაი თუ სახიფათო იყოსო, და უმაღლეს სართულს ჩაინაბეტონის სარტყელი შემოავლეს. მაგრამ ამან გაართულა სართულთა შორის მოძრაობა და სიმკაცრეს დაწყობა. ამას დაემატა ისიც, რომ მშენებლობაზე არ იყო ავტომაწე. ერთადერთი ავტოალწე, რომელიც სამშენებლო სამმართველოს აქვს, რაიონიდან რაიონში დაიოლოვს, რათა მიმოფანტულ სამშენებლო ობიექტებს დაეხმაროს. ავტომაწე ზოგჯერ თვეობით აგვიანებს მშენებლობაზე მისვლას. ასე მოხდა ამჯერადაც. ლენინგორში ავტომაწეს ორი თვე უცადეს, შემდეგ, როგორც იქნა, მოვიდა, სომკარები დაიწყეს და ანაზე მშენებლობაზე შეჩერდა. შეწყდა მშენებელთა ხმაური, ავტომანქანების გუგუნი.

რაიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამშენებლო ობიექტია ლენინგორის სამშენებლო ობიექტებს დაეხმარონ. ავტომაწე ზოგჯერ თვეობით აგვიანებს მშენებლობაზე მისვლას. ასე მოხდა ამჯერადაც. ლენინგორში ავტომაწეს ორი თვე უცადეს, შემდეგ, როგორც იქნა, მოვიდა, სომკარები დაიწყეს და ანაზე მშენებლობაზე შეჩერდა. შეწყდა მშენებელთა ხმაური, ავტომანქანების გუგუნი.

რაიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამშენებლო ობიექტია ლენინგორის სკოლის მშენებლობა. ითვლება, რომ ეს ობიექტი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. ეს ობიექტი ბევრ ადგილზე ბევრ ადგილზე ბევრ ადგილზე

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲧᲕᲘᲐᲛᲤᲠᲥᲕᲔᲕᲔ ᲨᲠᲝᲠᲡᲗᲐᲜ

სად არ ატარა ჯარისკაცის ბედმა სპირიდონ მელაშვილი. ერთი ეგ არის, მის თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ განსაცდელი არ დაჰკლებია, ბევრჯერ ჩაუხედავს სიკვდილისათვის თვალებში, ბევრჯერ ყოფილა ნატყვიარი, მაგრამ ომის ქარცეცხლისაგან გარუჯული ვაჟკაცს საბრძოლო მწყობრი არ დუტოვებია, თავი არასოდეს არ შეურცხვენია... ახლა სამოცდათერთმეტი წლის სიმაღლიდან დასცქერის წარსულს, მიუხედავად ამისა, მაინც მხნედ გამოიყურება, თითქოს მას არ შეხებია სიბერის მსახვრალი ხელი.

საინტერესოა მისი ცხოვრების კრებული სანი. იგი დაიბადა 1900 წელს ონის რაიონის სოფელ კვაშხიეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. რვა წლის პატარა სპირიდონი ამხანაგებთან ერთად ზვარეთის სოფლის სკოლაში სწავლობდა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მისი ბედნიერება; სიღარიბის გამო მისი მშობლები იძულებულნი იყვნენ სკოლიდან გამოეყვანათ თავიანთი პირმშო და ბედის საძებნელად ქალაქ ორჯონიკიძეში გაეგზავნათ.

უმიწაწყლო რაჭველები მაშინ ფეტვის მარცვალივით იყვნენ გაფანტული ნუნიაზე. ღუკმაპურის საშოვნელად ისინი მიდიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში, რუსეთის მორეულ ოლქებში, ციმბირში, მანჯურიაში და საზღვარგარეთაც კი, მიდიოდნენ, რათა ორიოდე გროში მოეგროვებინათ და მერე ისევ რაჭის მიეებს დაბრუნებოდნენ, ზოგი ამ ოცნებას მაღე ვერ ისრულებდა, მათი საშოვარზე ყოფნა ათეული წლები გრძელდებოდა, მაგრამ სიბერეში, როცა სიკვდილი ახლოვდებოდა, რაჭველი კაცი მაინ საშობლოში ბრუნდებოდა, რათა მამაპაპათა საძვალეთში დამარხულიყო.

პატარა სპირიდონი კერძო რეჭტორანში მზარეულის შეგირდათ დაიყენეს. ბეჯითმა და შრომისმოყვარე ყმაწვილმა მაღე თავი გამოიჩინა და რამდენიმე ხანში მზარეულის თანაშემწე გახდა, მერე სპირიდონმა მოსკოვში ამოჰყო თავი. 1917-1918 წლებში მუშაობდა კერძო რეჭტორანში მზარეულის თანაშემწედ.

1917 წელი! რამდენი ისტორიული აზრის მოწმეა ეს თითქოსდა რიგითი ჩვეულებრივი წელი, რომელსაც ბადალი არ გააჩნია კაცობრიობის წელთაღრიცხვაში. 1917 წელი. თვითმპყრობელობის დამხობა. ლენინის დაბრუნება პეტერში, ათი დღე, რომელმაც შეაძრა სამყარო, ოქტომბრის რევოლუცია. მიტინგები, კრებები, დემონსტრაციები, მარსელიოზის და ინტერნაციონალის ჰანგები, საშოჯალაქო ომი, ხალხის აბობოქრებული ზღვას აპყვა თვრამეტი წლის ვაჟკაცი სპირიდონ მელაშვილი. 1918 წელს იგი მოხალისედ შეფის გრენეკოს წითელ პარტიზანულ რაზმში რიგით მებრძოლად, შემდგომში რაზმი გადაკეთდა უკრაინის პირველი დივიზიის მეორე ტარაშჩის პოლად, რომელსაც ხელმძღვანელობდა კაცი-ლეგენდა, სამოქალაქო ომის სახელგანთქმული გმირი ამხანაგი ჩერონი.

შემდეგ ეს პოლკი გადაკეთდა 44-ე დივიზიის ტარაშჩის პოლკად. რუს, უკრაინელ, ებელორუს და სხვა ეროვნებათა ჯარისკაცებთან ერთად, შეუპოვრად ებრძოდა ხაზინდარ მტრებს მეტყველამფრქვევეთა ოცეულის მეთაურის მოადგილე სპირიდონ მელაშვილიც. იგი ებრძოდა თეთრ პოლონელებს, გეტმან სკორაპადსკის, პეტლიურას, გერმანელ ოკუპანტებს, დენიკინელებს, უკრაინელ ნაციონალისტებს.

ამაოდ ელოდნენ თავიანთ შვილს მოხუცი მშობლები. შორეულ კავშირეთში ვერც კი წარმოიდგენდნენ თუ სად, რომელ მხარეს იბრძოდა მათი სპირიდონი, რომელიც იარაღით ხელში ემსახურებოდა ხალხის საქმეს. მონაწილეობდა რა უკრაინული ქალაქების კიევის, ჩერნიგოვის, პოლტავის, ვინიცის, შეპეტოვკის, ჟიტომირის, ნოვგოროდ-ვოლინსკის, კაზატინის და სხვა ქალაქების განთავისუფლებაში.

ბრძოლებში სპირიდონი ორჯერ დაიჭრა, პირველად თეთრპოლონელებთან შეტაკების დროს ბელაია ცერკოვის რაიონში სოფელ რაკიტნიანი, მეორედ—სოკოლსა და ლვოვს შორის. ნაჭრილობევი სპირიდონი კიევში ჩაპავეს სახელობის საოადგილო პოლკში გაამწესეს, მკურნალობის შემდეგ ორი წლის მანძილზე იბრძოდა იმავე ჩაპაევის სახელობის პოლკში მეტყველამფრქვევეთა რაზმის უფროსის მოადგილედ. ებრძოდა უკრაინელ ნაციონალისტებს მახნოს, ტიუტინს და სხვებს.

ჯარისკაცის ბედმა სპირიდონი შუა აზიაში გადაისროლა, სადაც ანადგურებდა ბასმაჩების თურქესტანის მეორე დივიზიის მე-16 პოლკის მეომრებთან ერთად. შემდეგ ისევ საქართველო, თბილისი. სამხედრო სკოლის კურსანტობა, ნაწილის უფროსობა.

1924 წელს, აგვისტოში მეშვეკიერის ავანტიურის დროს, ამიერკავკასიის ჩეკას სკოლის კურსანტი სპირიდონ მელაშვილი ებრძვის მენშევიკ ბანდიტებს დუშეთის რაიონში. ისევ ჯარის ნაწილები, მესაზღვრეთა რაზმები, საგუშაგოს უფროსობა. 1927 წელს საგადმყოფი სპირიდონი შშობლიურ სოფელს უბრუნდება, აფაღიბებს პარტიულ უჯრედს, ხელმძღვანელობს სასოფლო საბჭოს.

ჩვენს მეცხოველეებს კარგად ახსოვთ ბ. შოლოხოვის შესანიშნავი წიგნი „ჯატეზილი ყამირი“ რომლის მთავარი გმირია ოცდახუთათასელი მუშა დავიდოვი. სპირიდონს ბედმა არგუნა ყოფილიყო დავიდოვის როლში, იგი, როგორც ოცდახუთათასელი ორი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ჩრდილოეთ კავკასიაში გეორგიევსკის რაიონის შაუმიანის სასოფლო-სამეურნეო კომუნას. 1931 წლიდან სამი წლის მანძილზე სწავლობს სტალინის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტში ქ. დონის როსტოვში. შემდეგ წლების მანძილზე მუშაობდა სამშენებლო ორგანიზაციებსა და სხვა დაწესებულებებში, როგორც პარტკომის მდივანი, დაცვის უფროსი, შემდეგ იყო ხელმძღვანელი სამუშაოზე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში. 1925 წლიდან სპირიდონ მელაშვილი სკკპ წევრია. ამ ორმოცდაექვსი წლის მანძილზე არ ყოფილა შემოხვევა პარტიის წევრის მაღალი წოდება რითიმე შეეხსოს. დაჯილდოებულია წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით და მრავალი მედლით.

კაცი, რომელიც ლეგენდარულ შორსის გვერდით ებრძოდა ჩვენი ქვეყნის მტრებს, ხშირად იგონებს თავის ლამაზ წარსულს, გმირობითა და სიბამაცით აღსავსე წლებს, რომლებიც ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობას მოახმარა.

პენსიონერი სპირიდონ მელაშვილი ამჟამად წითელოსფელში ცხოვრობს და ხშირად არის სოლმე დუშეთში, დინჯად მიუყვება ქალაქის ქუჩებს. შეხვედრი ადამიანები ყოველთვის გულთბილად ესალმებიან, ქედს უხრიან.

ეს პატივისცემა მან თავისი ვაჟკაცური და უმწიკლო ცხოვრებით დაიმსახურა.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ ხალ. კორ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: სამამულო ომის პარტიზანული მოძრაობის veteranebi — ცენტრში დ. ბაკრაძე, მარჯვნივ — ს. მელაშვილი.

თ. შ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კათედრის გამგე, დოცენტი **თორნიკე შალვას-ძე ჩხეიძე.**

თ. ჩხეიძე დაიბადა 1927 წელს. თბილისის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შედის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არქიტექტურის სპეციალობაზე.

ინსტიტუტის დამთავრებისა და შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლისთანავე თ. ჩხეიძემ მიიპყრო არქიტექტურული და სამშენებლო საზოგადოებრიობის ყურადღება. მან ზედიზედ მოიპოვა რამდენიმე პრემია რესპუბლიკურ არქიტექტურულ კონკურსებში.

1950 წლიდან არქიტექტორი თ. ჩხეიძე მუშაობს იწყებს „საქსახპროექტში“, სადაც მან ცხრა წლის განმავლობაში შექმნა რესპუბლიკის ინდუსტრიული ცენტრებისათვის სხვადასხვა ხასიათის მრავალი ნაგებობის პროექტები.

1959-1965 წლებში თ. ჩხეიძე მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის ექსპერიმენტული გაუყოფელების წამყვან არქიტექტორად. აქ მისი და ინჟინერ-კონსტრუქტორების ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამშრომლობით იქმნება მსხვილმანელიანი საცხოვრებელი სახლების რამდენიმე ტიპის სხვადასხვა სერია. მის მიერ შექმნილი ნაგებობები ამშვენებს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქს. საკულტურო-რებთან თანამეგობრობით მას შექმნილი აქვს შინმოუხვლელობა ვლების სამტრედიაში, გორდაბაში, ჭუთაისის მახლობლად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თ. ჩხეიძის მოღვაწეობა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც იგი მიიწვიეს სამუშაოდ 1965 წელს ახლად გახსნილ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს დირექტორად. სწორედ სამხატვრო აკადემიაში უფრო სრულად გამომჟღავნდა თ. ჩხეიძის შემოქმედებითი პოტენციალ, ლიტონინა და ხის მხატვრული ნაკეთობების შექმნაში. არსებითად იგი იყო ჩვენს რესპუბლიკაში ამ ახალი დარგის მოთავე, სულისჩამდგმელი. თავის ცოდნას და ენთუზიაზმს იგი უზიარებდა ახალგაზრდა მხატვრებს და არქიტექტორებს, რომლებიც კათედრაზე შემოიკრიბა.

თ. ჩხეიძე არა მარტო ასწავლიდა, არამედ მუდამ იღებდა უშუალო მონაწილეობას ინტერიერების პროექტირებაში და გაუყობაში. მისი პროექტებით აღიარებულ ლეგენდა „ორიანის“, სასტუმრო „ივერიაში“ ერთ-ერთი კაფეს, ვოლოგორგიდში „ქართული ღვინის“ სპეციმაღაზიის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასტუმრო სახლის ინტერიერები, რამდენიმე საინტერესო სუვენირული ნაკეთობა და ავეჯის კომპლექტი და სხვ.

თ. ჩხეიძე მუდამ იყო ქართველ ხეოროთმოძღვართა, მხატვართა და მშენებელთა შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ძნელია გაიხსენო არქიტექტორთა ან მხატვართა ყრილობა, ბიოფენა, შემოქმედებითი ღონისძიება, რომელშიც მას უშუალო მონაწილეობა არ მიეღოს. იგი იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამეკრის წევრი.

დიდად სამწუხაროა, რომ ამ ადრე წავიდა ჩვენი შემოქმედებითი რიგებიდან მუშობისათვის მუდამ შემართული, გულღია და უშუალო ადამიანი, პედაგოგი და ორგანიზატორი. მას კიდევ ბევრი რამ შეეძლო და უნდოდა გაეკეთებინა, მაგრამ რაც მოასწრო, ისიც დაუვიწყარი იქნება ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ; ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ



ᲖᲜᲐᲣᲠᲘ

ᲒᲖᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ

Ი. ᲗᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

● ᲚᲘᲐᲮᲕᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲖᲜᲐᲣᲠᲨᲘ ● ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲓᲔᲑᲐ ᲗᲐᲚᲙᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ● ᲜᲐᲒᲐᲣᲗᲜᲘᲡ ᲐᲑᲐᲜᲝ ● ᲐᲕᲜᲔᲕᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ● ᲖᲜᲐᲣᲠ-ᲐᲑᲐᲠᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

☐ გასულ წელს საფუძველი ჩაეყარა მეტად რთულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას. ზნაურის რაიონის ფრინვეის, ველაბის, ძველეთისა და ქვათეთრის ფართობების მოსარწყავად საჭირო გახდა კეკვის არხის გაგრძელება 21 კილომეტრ მანძილზე. ამ არხით დიდი ლიახვის წყალი მორწყავს ზნაურის რაიონის 7 ათას ჰექტარ ფართობებს. ახლა მიმდინარეობს კეკვის არხის სათავე ნაგებობის რეკონსტრუქცია. ტრასა ძალიან რთულია. საკმარისია ითქვას, რომ საჭირო იქნება 4,5 კილომეტრი სიგრძის ლითონის დიუკერების აგება ოთხ ადგილას. ამუშავდება სატუმბი სადგურები. გადაწყდა წყლის მარაგის საკითხიც. პატარა ლიახვზე, სოფელ ზონკართან მოეწყობა წყალსაცავი, საიდანაც წყლით მომარაგდება ტირიფონის არხი, დიდი ლიახვის წყალი კი, რომელიც ამჟამად ტირიფონის არხში მიედინება, ახალი არხის საშუალებით მოხმარდება ზნაურის რაიონს.

1972 წელს დამთავრდება ზნაურის გასარწყავების პირველი რიგის სამუშაოები — მოირწყვება 900 ჰექტარი მამული, ახალი არხის შენებლობა მოლიანად მიმდინარე ხუთწლედში დამთავრდება.

☐ **ᲤᲜᲔᲕᲘᲡᲘᲡ** თაღაკის ქარხანა ერთადერთია ამიერკავკასიაში. იგი სოფლის მეურნეობას, პარფიუმერიას განუწყვეტლივ აწვდის დაფქულ თაღაკს. გათვალისწინებულია მომდინარე ხუთწლედში ერთიორად გაზარდოს თაღაკის წარმოება. ამისათვის მნიშვნელოვნად გაფართოვდება გამამდიდრებელი ფაბრიკა, გაიკრება ახალი შახტი, სამქროებში დამონტაჟდება უახლესი ტიპის დანადგარები, განხორციელდება შიგა-საქარხნო ტრანსპორტის მექანიზაცია.

☐ **ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ** ცენტრიდან 14-16 კილომეტრის დაშორებით, ზოფელ ნაგუთნთან ადგილობრივმა მოსახლეებმა აღრევე შენიშნეს გოგირდოვანი სამკურნალო წყალი. მოდიოდნენ აქ ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი და ამბულანს იღებდნენ, ავადმყოფები კმაყოფილნი იყვნენ სამკურნალო წყლით.

ახლა ნაგუთნის ამბულს უურადღება მიაქცია ჯანმრთელობის რაიონულმა განყოფილებამ, აეშენეს საამბულო, დასასვენებელი ოთახები სამკურნალოდ მოსულთათვის.

☐ ᲓᲘᲓᲘ და ეკონომიურად ძლიერია სოფელ ავნევის გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობა. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობამ თავისი სახსრებით აეშენა კულტურის სახლი, რომელიც ყველაზე დიდი და კეთილშენობილია რაიონში.

კულტურის სახლთან შეიქმნა მხატვრული თვითმოქმედი წრეები, რომელთა კონცერტებს რაიონის ბევრი სოფლის მოსახლეობა ესწრება. ძლიერია კულტურის სახლთან შექმნილი ფიზკულტურული კოლექტივები. კულტურის კინოდარბაზში სისტემატურად უჩვენებენ კინოსურათებს.

☐ **ᲔᲡ** გზა შეკეთებას მოითხოვდა. ისე კი მოსახერხებელი არის რესპუბლიკურ გზაზე გამოსასვლელად. გასულ წელს დაიწყო მისი მოხრეშვა და მოასფალტება. სამუშაოებს აწარმოებდა № 13 საგზაო-სამშენებლო სამმართველო (უფროსი დ. მუშტარაული). ახლა სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. კეთილმოწყობილი გზა გაუადვილებს მიმოსვლას, ქარელის, ხაშურისა და ზნაურის რაიონებს შშრომელებს.

ᲮᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲜᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). ᲛᲔᲪᲚᲐᲒᲠᲛᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲛᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲙᲐᲠᲒᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲠᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲘᲠᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ